სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი # 1

ქ. თბილისი 2019 წ. 26 ნოემბერი

**ესწრებოდნენ:**

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

**ნ. მარიამიძე.**

სატენდერო კომისიის წევრები:

**ალ. ბუაჩიძე, ვ. მიქაშავიძე, გ. დონაძე, მ. დუნდუა.**

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ვ. ბეროშვილი, ვ. კუპატაძე, თ. ჭანტურიძე. მ. ბებერაშვილი, მ. ჩიჩუა.

არ ესწრებოდა სატენდერო კომისიის წევრი მ. ღარიბაშვილი მივლინებაში ყოფნის გამო.

დღის წესრიგი:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ, 2020 წლის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, თსსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სამსახურის უფროსის გოგი დონაძის 11/11/2019წ. #MES 8 19 01534628 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, ინტერნეტ მომსახურების (CPV 72410000) შესყიდვის მიზნით, გამოსაცხადებელი აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის შესახებ, სატენდერო განცხადების ტექსტისა და ელექტრონული სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრის თ. ჭანტურიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის წევრებს გადაეცათ აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის საშუალებით, უნივერსიტეტის ინტერნეტ მომსახურების შესყიდვაზე, სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული ელექტრონული სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების პროექტები. ტენდერის სავარაუდო ფასი განსაზღვრულია 12/12/2018 წელს შემდგარი SPA180009110 ტენდერის საფუძველზე. სატენდერო კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილი იყო შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც აისახა აღნიშნულ დოკუმენტებში. კერძოდ, კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაშიც წინასწარი გადახდის (ავანსის) მექანიზმი არ იქნება გამოყენებული. სატენდერო წინადადების სავარაუდო ფასი შეადგენს 45600 ლარს, ხოლო კლების ბიჯი განისაზღვრა 185 ლარის ოდენობით, რაც კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებში თავსდება.

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრმა გ. დონაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის განცხადებისა და ელექტრონული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები მისაღებია. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა სატენდერო კომისიის ყველა წევრი.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს განცხადების მონაცემები და სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.
2. ტენდერი გამოცხადდეს არაუგვიანეს 2019 წლის 29 ნოემბერს.
3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:** ნ. მარიამიძე

სატენდერო კომისიის წევრები:

ალ. ბუაჩიძე

ვ. მიქაშავიძე

გ. დონაძე

მ. დუნდუა

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

ვ. ბეროშვილი

ვ. კუპატაძე

თ. ჭანტურიძე

მ. ბებერაშვილი

მ. ჩიჩუა

Tbilisi State Medical University

Digitally signed by Tbilisi State Medical University
Date: 2019.11.27 18:29:52 +04'00'